ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2750649

ნომერი: AR1421349

თარიღი : 01.08.2016

გაცემის თარიღი : 02.08.2016

გაცნობის თარიღი : 02.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 31/13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სამსონ ფხაკაძე პ/ნ 01024006897
- ქ. თბილისი, ბროლოსანის ქ. #31, ბინა #12

ორგანიზაცია:
- ვენჯორჯია კოდი: 404885335

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N31/13-ში არსებულ შენობაზე სჩრდილობლის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტის თვალსაზრისით, სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად საჩრდილობლის მოწყობა წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟის მიხედვით. საჭიროა საჩრდილობელი მოეწყოს არსებული საჩრდილობლების გაბარიტში.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საჩრდილობლის მოწყობისას დაცული უნდა იქნეს "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტისN4–13 გადაწყვეტილებით დადგენილი ნორმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება რეკომენდაციის გათვალისწინებით კორექტირებული საპროექტო ფოტომონტაჟის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.